

შპს „მცხეთის წყალი“

ფინანსური ანგარიშგება

*2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ.....	5
2. საოპერაციო გარემო	5
3. მომზადების საფუძველი	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა	6
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	17
6. ძირითადი საშუალებები	19
7. საინვესტიციო ქონება.....	23
8. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება.....	24
9. კაპიტალი.....	26
10. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	26
11. სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები.....	26
12. შემოსავალი წყალმომარაგებიდან.....	28
13. პირობითი ვალდებულებები	28
14. ფინანსური ინსტრუმენტები	28
15. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები	31
16. ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები.....	32

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მცხეთის წყლის“ ხელმძღვანელობასა და მშობელ კომპანიას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „მცხეთის წყლის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მშობელი კომპანიის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

მშობელი კომპანია პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ▶ შევისწავლით აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.

- ▶ ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად მშობელ კომპანიას ვატყობინებთ აუდიტის დაგეგმილ მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.



მარჩელო გელაშვილი

შპს „EY“-ს სახელით

30 აპრილი, 2019 წ.

თბილისი, საქართველო


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	2,138	1,657
საინვესტიციო ქონება	7	1,191	1,115
სხვა გრძელვადიანი აქტივები		6	25
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,335	2,797
მიმდინარე აქტივები			
საფაქრო და სხვა დებიტორული დავალიანება	8	108	195
წინასწარ გადახდილი გადასახადები მოგების გადასახადის გარდა		-	192
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	14	809	516
სხვა მიმდინარე აქტივები		5	83
სულ მიმდინარე აქტივები		922	986
სულ აქტივები		4,257	3,783
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9	238	238
დაგროვილი დანაკლისი		(15,813)	(13,406)
გადაფასების რეზერვი	9	413	413
სულ კაპიტალი		(15,162)	(12,755)
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	14	18,475	15,167
გადავადებული შემოსავალი	11	94	84
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		18,569	15,251
მიმდინარე ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	14	124	181
საფაქრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	10	554	792
მიღებული ავანსები	11	39	29
გადავადებული შემოსავალი	11	17	14
სხვა საგადასახადო დავალიანება		116	271
სულ მიმდინარე ვალდებულებები		850	1,287
სულ ვალდებულებები		19,419	16,538
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		4,257	3,783

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 30 აპრილს:



ირაკლი ბაბუნაშვილი
გენერალური დირექტორი



ნინო გურგენია
შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“
ფინანსური დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება**2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის***(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)*

	<i>შენიშვნა</i>	<i>2018</i>	<i>2017</i>
შემოსავალი წყალმომარაგებიდან	12	1,101	735
სხვა შემოსავალი		51	29
სულ შემოსავალი		1,152	764
ნედლეული, საწვავი და სხვა სახარჯი მასალები		(216)	(233)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი / სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი	8	(190)	(79)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(121)	(115)
პროფესიული გასამრჯელო		(120)	(138)
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა		(33)	(26)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		(31)	(29)
სხვა შემოსავალი		151	66
სხვა საოპერაციო ხარჯები		(43)	(55)
		(603)	(609)
შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA)		549	155
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	14	(2,744)	(2,231)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა / (ზარალი)		1	(5)
ცვეთა და ამორტიზაცია	6	(137)	(112)
ზარალი მოგების გადასახადის გაწევამდე		(2,331)	(2,193)
მოგების გადასახადის ხარჯი		—	—
წლის ზარალი		(2,331)	(2,193)
სხვა სრული შემოსავალი		—	—
წლის მთლიანი სრული ზარალი, გადასახადის გამოკლებით		(2,331)	(2,193)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი დანაკლისი	გადაფასების რეზერვი	სულ
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	238	(11,114)	413	(10,463)
ფასს 15-ის ვადაზე ადრე მიღების ეფექტი	–	(99)	–	(99)
ნაშთი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	238	(11,213)	413	(10,562)
წლის ზარალი	–	(2,193)	–	(2,193)
წლის მთლიანი სრული ზარალი	–	(2,193)	–	(2,193)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	238	(13,406)	413	(12,755)
ფასს (IFRS) 9-ის ვადაზე ადრე მიღების ეფექტი (მე-4 შენიშვნა)	–	(76)	–	(76)
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	238	(13,482)	413	(12,831)
წლის ზარალი	–	(2,331)	–	(2,331)
წლის მთლიანი სრული ზარალი	–	(2,331)	–	(2,331)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	238	(15,813)	413	(15,162)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

	შენიშვნა	2018	2017
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ზარალი გადასახადით დაბეგვრამდე		(2,331)	(2,193)
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	6	137	112
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი / სავაჭრო დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი	8	190	79
საპროცენტო ხარჯი		2,744	2,231
საინვესტიციო ქონების გადაფასებით მიღებული მოგება	7	(76)	(66)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა (შემოსულობა) / ზარალი		(1)	5
<i>საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილების განხორციელების შედეგად</i>			
ცვლილება სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში		(179)	(55)
ცვლილება წინასწარ გადახდილ გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა		192	(192)
სხვა მიმდინარე აქტივების ცვლილება		78	(48)
ცვლილება სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში		90	315
ცვლილება გადავადებულ შემოსავალში		13	–
ცვლილება მიღებულ ავანსებში		10	14
ცვლილება სხვა საგადასახადო დავალიანებაში		(155)	110
გადახდილი პროცენტი	14	(818)	(23)
ცვლილება მიმდინარე მოგების გადასახადის წინასწარ გადახდაში		–	125
(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული)/საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(106)	414
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(760)	(501)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(760)	(501)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ამონაგები სესხებიდან	14	1,845	500
ნასესხები სახსრების დაფარვა	14	(686)	(11)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		1,159	489
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		293	402
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	14	516	114
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	14	809	516

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „მცხეთის წყალი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 1999 წლის 1 სექტემბერს მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითიზ ბი ვი აი“-სა (ყოფილი შპს „მალტიპლექს ენერჯი ბი-ვი-აი“) და საქართველოს მთავრობას შორის 2008 წლის 14 მაისს გაფორმებული (2009 წლის 22 დეკემბერს შეცვლილი) წილის ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, მოხდა კომპანიის პრივატიზება და შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითიზ ბი ვი აი“-მ (შემდგომში „GGU“ ან „მშობელი კომპანია“) შეისყიდა კომპანიის 100%-იანი წილი, რომელსაც იმ დროისთვის ფლობდა თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების შეგროვების მომსახურების გაწევა იურიდიული პირებისთვის და ქალაქ მცხეთის მოსახლეობისთვის. კომპანია ფლობს და ექსპლუატაციას უწევს წყლისა და ჩამდინარე წყლების ინფრასტრუქტურულ აქტივებს, რომლებიც გამოიყენება წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების შეგროვებისთვის.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. მცხეთა, აღმაშენებლის ქუჩა.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქციების 100%-ს ფლობს შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითიზ ბი-ვი-აი“, რომლის საბოლოო მშობელი კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „ჯორჯია კაპიტალი“.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქციების 100%-ს ფლობს შპს „ჯორჯიან გლობალ იუთილითიზ ბი-ვი-აი“, რომლის საბოლოო მშობელი კომპანია იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „ბიჯეო ჯგუფი“ („ბიჯეო“).

2018 წლის 29 მაისს „ბიჯეო ჯგუფმა“ დაასრულა მისი ბიზნეს საქმიანობების დაყოფა ლონდონის ბირჟაზე დარეგისტრირებულ საბანკო მიმართულებად („საბანკო საქმიანობა“) - შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „საქართველოს ბანკის ჯგუფად“ და ლონდონის ბირჟაზე დარეგისტრირებულ საინვესტიციო მიმართულებად („საინვესტიციო საქმიანობა“) - შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „ჯორჯია კაპიტალი“. შედეგად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „ჯორჯია კაპიტალი“ კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე გახდა. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არცერთი აქციონერი ფიზიკური პირი არ ფლობს შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „ჯორჯია კაპიტალის“ აქციების 8%-ზე მეტს.

კომპანიის საქმიანობას წარმართავს შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ“ („GWP“ ან „მმართველი კომპანია“), GGU-ს 100%-იანი შვილობილი კომპანია, მართვის სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე.

2. საოპერაციო გარემო

კომპანიის საქმიანობა კონცენტრირებულია ქ. მცხეთაში (საქართველო). როგორც ფორმირების პროცესში მყოფი ბაზარს, საქართველოს არ აქვს კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა, რაც უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებს ახასიათებთ. საქართველოში საქმიანობა შესაძლოა მოიცავდეს რისკებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე (მათ შორის რისკებს იმისა, რომ ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, არსებობს ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობის რისკები, და სასესხო და კაპიტალის ბაზრები არ არის სათანადოდ განვითარებული). თუმცა, ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საბანკო, იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების გამდიერებისთვის საჭირო რეფორმების სახით, რაც დადებითად აისახება ზოგად საინვესტიციო კლიმატზე. ამ რეფორმებს შორის არის ახალი კანონმდებლობის მიღება, ახალი საგადასახადო კოდექსისა და საპროცესო კანონების ჩათვლით. ხელმძღვანელობის აზრით, აღნიშნული ნაბიჯები ხელს შეუწყობს საქართველოში ბიზნესის წარმოების რისკების შემცირებას.

მოსალოდნელია ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული არსებული ტენდენციის გაგრძელება. ქართული ეკონომიკის მომავალი სტაბილურობა დიდწილად არის დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისთვის. ამის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ახდენს განვითარებულ ქვეყნებში საბაზრო კრიზისი და ეკონომიკური განვითარების შეფერხება.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

3. მომზადების საფუძველი

კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციების საერთაშორისო კომიტეტის („ფასიკ“) ინტერპრეტაციების შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2018 წლის ანგარიშგებისთვის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულები მეთოდით, გარდა იმ ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონებისა, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით.

ქვემოთ აღწერილია ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, ფასს (IFRS) 9-ის *ფინანსური ინსტრუმენტები* მიღების მიღმა (მე-4 შენიშვნა).

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში („ლარი“), თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს კომპანიამ გასწია წმინდა ზარალი 2,331 ლარის (2017 წ.: 2,193 ლარი) ოდენობით და, ამ თარიღის მდგომარეობით მისმა ვალდებულებებმა გადააჭარბა 15,162 ლარს (2017 წ.: 12,755 ლარი). კომპანია განაგრძობს ზარალის განცდას.

ხელმძღვანელობამ უშუალო მშობელ კომპანიასთან მოლაპარაკებები აწარმოა, საჭიროების შემთხვევაში, კომპანიისთვის საკმარისი ფულადი სახსრების გამოყოფაზე, რათა მას საშუალება მიეცეს უწყვეტ რეჟიმში გააგრძელოს ჩვეულებრივი საქმიანობა.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ კომპანია მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ. მომზადების საფუძველი გულისხმობს, რომ კომპანია აპირებს მისი ვადადამდგარი ვალდებულებების დაფარვას 12 თვის განმავლობაში, უშუალო მშობელი კომპანიის დახმარებით, ხოლო ამ უკანასკნელს შესწევს უნარი და აქვს განზრახვა საჭიროების შემთხვევაში კომპანიას გაუწიოს დახმარება რაც კომპანიას საშუალებას მისცემს მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და დაფაროს მისი ვალდებულებები ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

2018 წლის 1 იანვრიდან კომპანიამ მიიღო ფასს (IFRS) 9, *ფინანსური ინსტრუმენტები*. ახალი სტანდარტის მიღებას გავლენა ჰქონდა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე სავაჭრო დებიტორული დავალიანების რეზერვის შეფასების მიდგომის ცვლილების გამო. ფასს (IFRS) 9-ის გამოყენებას არ გამოუწვევია ცვლილება ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციაში.

სტანდარტის ამოქმედების თარიღში კომპანიამ მიიღო ახალი სტანდარტი და არ მოუხდენია შედარებადი ინფორმაციის გადაანგარიშება, რომლის აღიარებაც გრძელდება ბასს (IAS) 39-ის *ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება* ფარგლებში. ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა გამოიყენება 2018 წლის 1 იანვრიდან.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)**ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)**

ფასს (IFRS) 9 - ფინანსური ინსტრუმენტები

გაუფასურება

ფასს (IFRS) 9-ის გაუფასურების ახალი მოდელი ეყრდნობა მოსალოდნელი (და არა უკვე განცდილი) ზარალის წარმოდგენას და ვრცელდება ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც ფლობილია ამორტიზებული ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში (მოგება-ზარალის ანგარიშგებაში გადატანით). მოსალოდნელი ზარალის განსასაზღვრად საწარმომ უნდა გამოიყენოს ზოგადი ან მარტივი მიდგომა.

ფასს (IFRS) 9 არაფინანსურ ინსტიტუტებს, ხარჯის შემცირებისა და საქმის გაიოლების მიზნით, უფლებას აძლევს, რომ სავაჭრო და იჯარასთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანებისთვის გამარტივებული მეთოდი გამოიყენონ. ასეთ შემთხვევაში, საჭირო აღარ არის 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლა და ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკის ზრდაზე დაკვირვება. საწარმომ უნდა შეაფასოს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. კომპანიამ მიიღო მისი სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების გამარტივებული მოკლე და გრძელვადიანი მიდგომა.

(ა) ნაღდი ფული ბანკში

ბანკში არსებული ფულადი სახსრების მოკლევადიანობისა და მაღალი ლიკვიდურობის გამო, კომპანიამ შესაბამისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითად შეაფასა. ამიტომ, ბანკში ნაღდი ფულისთვის ფასს (IFRS) 9-ის შესაბამისად გაუფასურება არ არის აღიარებული.

(ბ) სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

კომპანიის ოპერაციების თვისებრივი და რაოდენობრივი მახასიათებლების გამო, ახალი სტანდარტების გამოყენებამ ყველაზე მეტად სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაზე იმოქმედა. ეს უკანასკნელები მოიცავს შემდეგ კატეგორიებს შემოსავლების შესაბამისი კლასის და კონტრაქტის სამართლებრივი სტატუსის გათვალისწინებით:

აღწერა	პროპორციული განაწილება
იურიდიული პირების დებიტორული დავალიანება წყალმომარაგების მომსახურებისთვის	54%
მოსახლეობის დებიტორული დავალიანება წყალმომარაგების მომსახურებისთვის	38%
დებიტორული დავალიანება წყლის მრიცხველების დამონტაჟებისთვის	6%
სავაჭრო დებიტორული დავალიანება ქსელთან მიერთების მომსახურებისთვის	1%
სხვა დებიტორული დავალიანება	1%
	100%

რეზერვი ცალკე განისაზღვრა ზემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილი თითოეული ჯგუფისთვის, შემდეგი წესით:

- ▶ **ინდივიდუალური შეფასება:** ინდივიდუალურად შეფასდნენ გარკვეული ვადაგადაცილებული მსხვილი მსესხებლები, რომელთათვისაც სრული ან არსებითი რეზერვია შექმნილი (კოლექტიური განაკვეთების გამოყენებით), და რომლებთანაც მიღწეული იქნა დაფარვის ან რესტრუქტურისაციის შეთანხმებები.
- ▶ **კოლექტიური შეფასება:** დანარჩენი მსესხებლები დაიყვნენ ჯგუფებად მსგავსი მახასიათებლების საკრედიტო რისკის მიხედვით, როგორცაა, მაგალითად ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა და კონტრაქტის აქტიური/პასიური სტატუსი.

დანაწილების საფუძველი**აღწერა**

ვადაგადაცილებული დღეები	1 თვეზე ნაკლები
ვადაგადაცილებული დღეები	1 თვიდან 2 თვემდე
ვადაგადაცილებული დღეები	1 თვიდან 3 თვემდე
ვადაგადაცილებული დღეები	3 თვეზე მეტი (პასიური ჯგუფი)
სტატუსი	გაუქმებული/ქსელიდან მოხსნილი აბონენტები

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ახალი ან შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

- ▶ თითოეული ჯგუფისთვის კოლექტიურად განისაზღვრა გადაუხდელობის მაჩვენებლები. კომპანიამ გამოიყენა რეზერვების მატრიცები, რომლებიც ეყრდნობა წარსულში გადაუხდელობის ფაქტობრივ მაჩვენებლებს. პრაქტიკულად დაკვირვებადი მაქსიმალური ვადა - ბოლო 12 თვე შეირჩა გაანგარიშების მიზნებისთვის და ინფორმაციის გადატანის კოჰორტული (დისკრეტული დროის) მეთოდი იქნა გამოყენებული. ისტორიული მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით დავალიანების გადაუხდელობის მაჩვენებლის განსაზღვრის შემდეგ კომპანია აფასებს საპროგნოზო ინფორმაციის ეფექტს, რომლის კორექტირებაც არაარსებითია.
- ▶ ანარიცხების საბოლოო განაკვეთების შეფასების მიზნით, დეფოლტირებული ჯგუფები 14 ქვეჯგუფად დაიყო, მსესხებლის დეფოლტირებულად გახდომის პირველი შემთხვევიდან გასული დროის მიხედვით და თითოეული ქვეჯგუფისთვის დაანგარიშდა ლიკვიდაციის და აღდგენის განაკვეთები.

ამის შედეგად განისაზღვრა, რომ 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფასს (IFRS) 9-ის მიღების წინასაგადასახადო გავლენამ გამოიწვია რეზერვების 76-ლარიანი ზრდა და გაუნაწილებელი მოგების კლება.

სხვა სტანდარტები და ინტერპრეტაციები

კომპანიის საქმიანობის შესაბამის ქვემოთ მოცემულ სტანდარტებს/ინტერპრეტაციებს, რომლებიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვარს, გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან საქმიანობის შედეგებზე:

- ▶ ფასიკ (IFRIC) ინტერპრეტაცია 22 *ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად*;
- ▶ ცვლილებები ბასს (IAS) 40-ში *საინვესტიციო ქონების გადატანა*.

კომპანიას ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული.

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

კომპანია არაფინანსურ აქტივებს, მაგ. საინვესტიციო ქონებას აფასებს სამართლიანი ღირებულებით ყოველი საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღით. ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია მე-14 შენიშვნაში.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- ▶ მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებით, ან მისი ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შეესაბამება არსებული გარემოებებს და რომლისთვისაც ხელმისაწვდომია სათანადო მონაცემები სამართლიანი ღირებულების განსაზღვრად, რითაც მაქსიმალურად გამოიყენება შესაბამისი ემპირიული და მინიმალურად - არაემპირიული ამოსავალი მონაცემები.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა (გაგრძელება)

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე.
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- ▶ დონე 3 – ღირებულებითი შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის განსაზღვრა.

სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეში შესული აქტივების სამართლიანი ღირებულება შეიძლება დაექვემდებაროს ცვლილებას, თუ ხელმისაწვდომი გახდება შესაბამისი განსაზღვრადი გარიგებები.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

ფინანსური აქტივები

ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში, თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სავაჭრო დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანია პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო დებიტორული დავალიანება, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს (IFRS)15-ით განსაზღვრული გარიგების ფასით.

შემდგომი შეფასების მიზნით, კომპანიის ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია ფინანსურ აქტივებად ამორტიზებული ღირებულებით, რაც მოიცავს სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებას და ბანკში არსებულ ნაღდ ფულს. კომპანია არ ფლობს სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში აღრიცხულ ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს.

კომპანიის ფინანსური აქტივები შედის მიმდინარე აქტივებში, თუ მათი ვადა საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 12 თვეზე უფრო ხანგრძლივი არ არის. ასეთი სესხები და დებიტორული დავალიანებები გრძელვადიან აქტივებს მიეკუთვნება.

კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ▶ ფინანსური აქტივი ბიზნესმოდელის ფარგლებში მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის ცვლილება ან გაუფასურება.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

მოთხოვნების გაუფასურება

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს აღიარებს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომელთა ფლობა არ ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე ვადადამდგარ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით.

დებიტორული დავალიანებებისთვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვის ნაცვლად კომპანია აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის (მე-4 შენიშვნა).

ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, როდესაც წარმოიქმნება ერთი ან მეტი მოვლენა, რომელსაც უარყოფითი გავლენა ექნება ამგვარი ფინანსური აქტივების მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე. გაუფასურებაზე შეიძლება მიანიშნებდეს შემდეგი:

- ▶ კონტრაქტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- ▶ ხელშეკრულების დარღვევა, ვალდებულებების შეუსრულებლობით ან ვადაგადაცილებით;
- ▶ მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან სხვაგვარი ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- ▶ კონტრაქტის გადახდების სტატუსში უარყოფითი ცვლილებაა, რომელიც გამოწვეულია ქვეყნის მასშტაბით ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების ისეთი ცვლილებებით, რომლებიც გავლენას ახდენენ მხარეზე.

თუ მომდევნო წლის განმავლობაში შეფასებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გაიზრდება ან შემცირდება, თავდაპირველად აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გაიზრდება ან შემცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ მომავალი ჩამოწერილი თანხა მოგვიანებით იქნება ამოღებული, ის დაკრედიტდება მოგება-ზარალში სავაჭრო დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვში უარყოფითი ნიშნით, როგორც გაუფასურების შემობრუნება.

რეგულარულად ხდება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების იმ მეთოდოლოგიის და დაშვებების გადახედვა, რომლებიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების განსაზღვრის მიზნით, რათა შემცირდეს სხვაობა მოსალოდნელ და ფაქტობრივ ზარალს შორის. გაუფასურების ზარალი ყოველთვის აღიარებულია რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, რათა აქტივის საბალანსო ღირებულება შემცირდეს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებამდე, რომლებიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება გაუფასურების ზარალის რეზერვის ანგარიშზე მას შემდეგ, რაც აქტივის ამოღებისთვის საჭირო ყველა პროცედურა დასრულდება და ზარალის ოდენობა განისაზღვრება. გარდა ამისა, მომხმარებელს შეუძლია მარეგულირებელს (საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისია (სემეკი)) წარუდგინოს განცხადება სამ წელზე მეტი ხნით ვადაგადაცილებული დავალიანების აღიარების შეწყვეტის შესახებ. თუ სემეკი დაამტკიცებს ასეთ განცხადებას, კომპანია ვალდებულია, შეწყვიტოს დებიტორული დავალიანების აღიარება კანონის მიხედვით. ინფორმაცია დებიტორული დავალიანებების გაუფასურებასა და ჩამოწერასთან დაკავშირებით გამოყენებული შეფასებებისა და დასაბუთებების შესახებ უფრო დაწვრილებით მოცემულია მე-8 შენიშვნაში.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა, ან
- ▶ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო თანხების სრულად და მნიშვნელოვანი დაგვიანების გარეშე მესამე მხარეებისთვის გადახდის ვალდებულება „გადაცემის“ ხელშეკრულების თანახმად; და
- ▶ კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ‘ტრანზიტული’ ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა მან ამ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ შენარჩუნებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

უწყვეტი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, ფასდება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალურ თანხას შორის, რომლის გადახდაც შესაძლოა კომპანიას დასჭირდეს, უმცირესით.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანიის ყველა ფინანსური ვალდებულება, მათ შორის ნასესხები სახსრები და სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება, აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. კომპანიის ნასესხები სახსრები შედგება ქართული ფინანსური ინსტიტუტებისგან და საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისგან მიღებული სესხებისგან.

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ჩაანაცვლებს მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ინფრასტრუქტურული აქტივები მოიცავს სისტემების ქსელს, რომელიც შედგება ნედლი წყლის მილსადენებისგან, მთავარი და საკანალიზაციო მილებისგან, აკუმულირებული და ამოტუმბული ნედლი წყლის შესანახი რეზერვუარებისგან და სალექი მილსადენებისგან. საინვესტიციო დანახარჯი ინფრასტრუქტურულ აქტივებზე, რომლებიც უკავშირდება ქსელის გამტარუნარიანობის ზრდას ან ქსელის გაფართოებას და აქტივის შეცვლას ქსელის საოპერაციო შესაძლებლობების შენარჩუნების მიზნით, განიხილება დამატებად და თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო სარემონტო და ტექნიკური მომსახურების ხარჯი, რომელიც არ აუზღოვებს საბაზისო აქტივებს, აღირიცხება საოპერაციო ხარჯად.

კომპანიის ძირითადი საშუალებები აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით, მინუს დაგროვილი ცვეთა და, საჭიროების შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვი. გადაფასებისას წარმოშობილი საბალანსო ღირებულების ზრდა მიეწერება სხვა სრულ მოგებას, ხოლო გადაფასებისას მიღებული შემოსავლის ზრდა – საკუთარ კაპიტალს. ის შემცირებები, რომლებიც აბათილებს იმავე აქტივთან დაკავშირებულ ადრინდელ ზრდას, აღირიცხება სხვა სრულ შემოსავალში, ხოლო ადრე აღიარებული გადაფასების ნამეტის შემცირებები – საკუთარ კაპიტალში; ყველა სხვა კლება აღირიცხება წლის მოგებაში/ზარალში. საკუთარ კაპიტალში ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაში, როდესაც გადაფასებით მიღებული ნამეტის რეალიზება ხორციელდება აქტივის ჩამოწერის ან გასხვისების საფუძველზე. გადაფასების თარიღისთვის დაგროვილი ცვეთა, დაგროვილ გაუფასურების ზარალთან ერთად, აკლდება აქტივის საერთო ღირებულებას და დარჩენილი თანხა გადაანაწილებს აქტივის გადაფასებულ ღირებულებამდე. როდესაც აქტივის აღიარება წყდება, გადაფასებით მიღებული ზედმეტობა პირდაპირ გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაში.

მიწა, უძრავი ქონება და ინფრასტრუქტურული აქტივები რეგულარულ გადაფასებას ექვემდებარება. შეფასება ტარდება იმდენად ხშირად (საბაზრო ღირებულების ცვლილების მონიტორინგი, მინიმუმ, წელიწადში ერთხელ ხდება), რომ გადაფასებული აქტივის სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი საბალანსო ღირებულებისგან.

უმნიშვნელო რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება ხარჯების ნაწილში მათი გაწევისთანავე. ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის ხარჯები კაპიტალიზდება, ხოლო შეცვლილი ნაწილები ჩამოიწერება.

აქტივის ცვეთა აითვლება იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი ექსპლუატაციისთვის მზად იქნება და ხელმისაწვდომი გახდება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებზე. ძირითადი საშუალებების რამდენიმე კლასის შესაბამისი არსებული სასარგებლო გამოყენების ვადებია:

სასარგებლო გამოყენების ვადები

ინფრასტრუქტურული აქტივები	8-45 წელი
საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	5-10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო თანხას, რომელსაც კომპანია აქტივის გასხვისებიდან მიიღება, გასხვისების სავარაუდო ხარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე მოძველებული და ისეთ მდგომარეობაში რომ ყოფილიყო, როგორც მოსალოდნელია სასარგებლო გამოყენების ვადის დასრულებისთვის.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია შენობით, რომელიც არსებითად არ არის დაკავებული კომპანიის მიერ ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში გამოსაყენებლად ან გასაყიდად. მისი ფლობის მთავარი მიზანია საიჯარო შემოსავლის მიღება, კაპიტალის ღირებულების ზრდა ან სამომავლოდ ხელახლა განვითარება, ვიდრე გაირკვევა მისი ექსპლუატაციის ზუსტი დანიშნულება.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება და იგი გარიგების დანახარჯებსაც მოიცავს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ საინვესტიციო ქონება აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ასახავს ანგარიშგების თარიღისთვის არსებულ საბაზრო პირობებს. საინვესტიციო ქონების სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული მოგება ან ზარალი აღირიცხება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი წარმოიშვა. საინვესტიციო ქონების გადაფასება დამოუკიდებელმა შემფასებელმა ჩაატარა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მათი გასხვისების დროს ან როდესაც საბოლოოდ ხდება საინვესტიციო ქონების ექსპლუატაციიდან ამოღება და მოსალოდნელი არ არის მათი გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის აღიარება ხდება აღიარების შეწყვეტის პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

გადასახადები

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარდა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. კომპანიებს უფლება აქვთ, ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში მოიცავს მოთხოვნამდე ანაბრებს ბანკში, რომელთა თავდაპირველი ვადა შეადგენს სამ თვეს ან ნაკლებს და რომლებიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელო რისკს. ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ნებადართული საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება (საწესდებო კაპიტალთან, წილობრივ მონაწილეობასთან და სხვ. დაკავშირებული ცვლილებების ჩათვლით) შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის მფლობელთა გადაწყვეტილების საფუძველზე. ნებადართული კაპიტალი აღიარებულია, როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის საკუთარ კაპიტალში იმ შემთხვევაში, თუ ის კომპანიის მფლობელებმა შეიტანეს.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

დამატებული ღირებულების გადასახადი

დამატებული ღირებულების გადასახადის ვალდებულება წარმოიშობება საქონლის მიწოდებისას ან მომსახურების გაწევის მომენტში. დღგ-ის ჩასათვლელი თანხის აღიარება ხდება მომწოდებლისგან საგადასახადო ანგარიშგაქტურის მიღების მომენტში, მაგრამ მისი მიღება ხდება ბრუნვაზე გადახდილი დღგ-ის თანხიდან მხოლოდ ამ ანგარიშგაქტურის გადახდისას. საგადასახადო კანონმდებლობით ნებადართულია დღგ-ის გადახდა ნეტო-საფუძველზე. შესაბამისად, ყიდვა-გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ, რომლის გადახდაც ხორციელდება საანგარიშო პერიოდის დასრულებისას, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტო-საფუძველზე. როდესაც იქმნება დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის საერთო თანხასთან მიმართებით, დღგ-ის ჩათვლით.

შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA)

კომპანია ცალკე წარმოადგენს შემოსავალს პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA) მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. EBITDA არ არის განსაზღვრული ფასს-ში, მაგრამ კომპანია განსაზღვრავს მას, როგორც შემოსავალს პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე და ის მიიღება, როგორც კომპანიის მოგება მოგების გადასახადის ხარჯის გათვალისწინებამდე. EBITDA არ შეიცავს შემდეგ მუხლებს: ცვეთა და ამორტიზაცია, ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული წმინდა ხარჯები და საკუროს სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი).

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და ნება, რომ მოხდეს ან შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვა, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

სამუშაო ვალუტები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ქართულ ლარში (ლარი), რომელიც ასევე კომპანიის სამუშაო ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებები თავდაპირველად აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაანგარიშება სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. იმ არაფულადი მუხლების გადაანგარიშება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი გარიგების დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, გადაანგარიშდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა. როდესაც ხდება არაფულადი მუხლის შემოსულობის ან ზარალის აღიარება სხვა სრულ შემოსავალში, ამ შემოსულობის ან ზარალის ყოველი საკუროს კომპონენტი აღირიცხება სხვა სრულ შემოსავალში. ხოლო როდესაც ხდება არაფულადი მუხლის შემოსულობის ან ზარალის აღიარება სხვა მოგებაში ან ზარალში, ამ შემოსულობის ან ზარალის ყოველი საკუროს კომპონენტი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით ან უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სხვა ოპერაციებით გამოწვეული ნამეტი შემოსავალი და ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, როგორც წმინდა საკუროს ზარალი.

სხვაობები გარკვეული გარიგების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სავალუტო კურსსა და საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს ასახულია ნამეტი შემოსავლის თანხით შემცირებულ საკუროს ზარალში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, იყო 2.6766 და 2.5922 ლარი 1 აშშ დოლართან მიმართებით.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია აკმაყოფილებს სახელშეკრულებო ვალდებულებას იმ ოდენობით, რომელიც უტოლდება საზღაურს, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოიპოვებს საქონლის ან მომსახურების კლიენტისთვის გადაცემით. ქვემოთ მოცემული კონკრეტული პრინციპები ასევე გამოიყენება კომპანიის შემოსავლების მთავარ კლასებთან მიმართებაში:

იურიდიული პირების წყალმომარაგებიდან მიღებული შემოსავალი

შემოსავალი იურიდიული პირების წყალმომარაგებიდან მოიცავს თანხებს, რომლებიც ყოველთვიურად ერიცხება კომერციულ მომხმარებლებს, წლის მრიცხველით აღრიცხული და მოსალოდნელი მოხმარების საფუძველზე, ასევე მიწოდებული წყლის ერთი ერთეულის მომსახურების შესაბამისი ტარიფების გამოყენებით. მრიცხველის წაკითხვა ციკლურად ხორციელდება და კომპანია დაურიცხავი თანხებისთვის შემოსავლის აღიარებას ახორციელებს ბოლო გადასახადიდან ფინანსური წლის ბოლომდე განსაზღვრული სავარაუდო მოხმარების საფუძველზე.

ფართო მოსახლეობის წყალმომარაგებიდან მიღებული შემოსავალი

შემოსავალი ფართო მოსახლეობის წყალმომარაგებიდან მოიცავს თანხებს, რომლებიც ყოველთვიურად ერიცხება საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს მოხმარებული წყლის მოცულობის საფუძველზე (მრიცხველის ჩვენების მიხედვით) და მიწოდებული წყლის თითოეული ერთეულისთვის განსაზღვრული შესაბამისი ტარიფების გამოყენებით. არაგამრიცხველიანებული საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის, შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი ქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ ერთ მისამართზე რეგისტრირებული მაცხოვრებლების რაოდენობის მიხედვით, თვეში ერთ სულ მოსახლეზე დადგენილი ტარიფის გამოყენებით.

შემოსავალი წყლის მრიცხველების დამონტაჟებიდან

შემოსავალი წყლის მრიცხველების მონტაჟიდან მოიცავს საყოფაცხოვრებო მომხმარებლებზე აღრიცხულ თანხებს სემეკი-ს წესების საფუძველზე. ამგვარი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება ეტაპობრივად ხდება და შემოსავლის აღიარება მომსახურების გაწევის პერიოდის განმავლობაში. მრიცხველების მოსალოდნელი მომსახურების პერიოდად განსაზღვრულია 10 წელი. შემოსავალი გადავადდება შესაბამისი ვადით.

შემოსავალი ქსელთან მიერთების მომსახურებიდან

ქსელთან მიერთების მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი მოიცავს დაუბრუნებელ თანხებს, რომლებიც აღიარდება მომხმარებელთა წყალმომარაგების სისტემაზე მიერთების და მათთვის წყალმომარაგებაზე წვდომის მინიჭებისთვის. ქსელთან მიერთებიდან შემოსავლის აღიარება ხდება ეტაპობრივად წყლის მრიცხველების ექსპლუატაციის ვადის განმავლობაში სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებასთან ერთად.

საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც მოსალოდნელ სამომავლო ფულად გადახდებს/შემოსავლებს ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის ან, სადაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში ადისკონტირებს ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ კომპანია გადახდევს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღიარდება, როგორც საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი.

როდესაც ფინანსური აქტივის თუ მსგავსი აქტივების ჯგუფის ღირებულება მცირდება გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდება ახალ საბალანსო ღირებულებაზე თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენების გზით.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმდინარე პერიოდისთვის ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. კომპანიის საქმიანობისთვის აქტუალური ახალი სტანდარტები, რომლებმაც შეიძლება რამე გავლენა იქონიონ კომპანიაზე, ან რომელთა გავლენებიც ამჟამად ფასდება, შემდეგია:

ფასს (IFRS) 16 - იჯარა

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს *იჯარა*, ფასიკ (IFRIC) 4-ს *როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას*, იმკ (SIC) 15-ს *საოპერაციო იჯარა - სტიმულირება* და იმკ (SIC) 27-ს *გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას*. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამოწვევას: მოიჯარეებისთვის - "დაბალი ღირებულები მქონე" აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი.

მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს (IFRS) 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს (IAS) 17-ით დადგენილი პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორითაც ბასს (IAS) 17-ის მიხედვით და გამიჯნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

ფასს (IFRS) 16-ით, რომელიც მოქმედია 2019 წლის 1 იანვარს და ამ თარიღის შემდგომი წლიური პერიოდებისთვის, როგორც მოიჯარეებს, ისე - მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს (IAS) 17-ის საფუძველზე ხდებოდა.

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიამ მიიღო ფასს (IFRS) 16 *იჯარები*, რასაც კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია მიმართავს გარკვეულ შეფასებებს და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლისთვის. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირებაც შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ქვემოთ მოცემულია გადაწყვეტილებები, რომლებსაც აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და ასევე შეფასებები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს მომდევნო ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება:

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება ყოველწლიურად, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე დამოუკიდებელი პროფესიონალი შემფასებლების მიერ. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შემოსავლის მეთოდისა და გაყიდვების შედარების მეთოდის ერთობლივი გამოყენებით (მე-7 შენიშვნა).

ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

ძირითადი საშუალებების აღირიცხება გადაფასებული ღირებულებით. კომპანია თავის ძირითად საშუალებებს საკმარისი სიხშირით აფასებს იმისათვის, რომ საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისგან, რომელიც განისაზღვრებოდა სამართლიანი ღირებულების გამოყენებით ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის. 2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის, კომპანიამ ჩაატარა ანალიზი შემოსავლის მეთოდის გამოყენებით. ამ შეფასების შედეგები, შეფასების ამოსავალი მონაცემები და ხერხები წარმოდგენილია მე-6 შენიშვნაში. ჩატარებული ანალიზის საფუძველზე, კომპანიამ უზრუნველყო, რომ ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მათი სამართლიანი ღირებულებისგან. ძირითადი საშუალებების ბოლო შეფასება ჩატარდა 2013 წლის 31 დეკემბერს.

კომპანიის ქონების ნაწილი თავისი ხასიათით სპეციფიკურია და ქვეყნის სხვადასხვა ნაწილშია განთავსებული. მართალია, საქართველოში მეორადი ბაზარი საკმარის ინფორმაციას იძლევა მცირე და საშუალო ზომის ქონების სამართლიანი ღირებულებით შეფასებისთვის, დიდი ზომის და უნიკალური თვისებების მქონე ქონების შეფასება მოითხოვს სხვადასხვა ემპირიული და არამპირიული ამოსავალი მონაცემების გამოყენებას ხელმისაწვდომ შედარებად გასაყიდ ფასებში შესატანი კორექტირებების განსაზღვრისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა ყველაზე ზუსტ ხელმისაწვდომ ინფორმაციას, ფაქტობრივი შედეგები შეიძლება მაინც განსხვავებული იყოს.

ინფრასტრუქტურული აქტივების ფლობა და აღიარება

კომპანიის ძირითადი საშუალებები მოიცავს გარკვეულ ერთეულებს, მათ შორის წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების ქსელის მილსადენებს, სატუმბ სადგურებს და სხვა ინფრასტრუქტურულ აქტივებს, რომლებსაც კომპანია წარსულშიც იყენებდა წყლის მიწოდებისა და ჩამდინარე წყლების შეგროვებისთვის და რომლებიც კომპანიას პრივატიზაციის შედეგად გადაეცა. საჭირო დოკუმენტაციის ნაკლებობისა და რეგისტრაციისთვის არასაკმარისი დროის გამო, კომპანიამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის ვერ მოიპოვა კანონიერი მფლობელობა გარკვეულ ძირითად საშუალებებზე, მათ შორის ინფრასტრუქტურულ აქტივებზე. თუმცა პირველ შენიშვნაში მითითებული პრივატიზაციის ხელშეკრულების (1-ელი შენიშვნა) დებულებების საფუძველზე, ხელმძღვანელობამ, განსჯის შედეგად მიიჩნია, რომ, ვინაიდან ინფრასტრუქტურული აქტივები მოიცავს ისეთ აქტივებს, რომლებსაც კომპანია ადრე იყენებდა და მხოლოდ კომპანიამ შეიძლება გამოიყენოს (როგორც წყლის და წყლის მიწოდების მომსახურების ერთადერთმა პროვაიდერმა მცხეთაში), არსებობს მაღალი ალბათობა იმისა, რომ კომპანია გააგრძელებს მომავალში ინფრასტრუქტურული აქტივების გამოყენებას და მოიპოვებს მათზე კანონიერი მფლობელობის უფლებას. ამ დაშვების საფუძველზე და იმის გამო, რომ არ მიმდინარეობს სასამართლო პროცესი კომპანიის წინააღმდეგ ან დავა მისი საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობამ აღიარა ინფრასტრუქტურული აქტივები, როგორც კომპანიის ძირითადი საშუალებები.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა

ძირითადი საშუალების შემადგენელი ცალკეული ერთეულების სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება დამოკიდებულია ხელმძღვანელობის დაშვებებზე, რომლებიც ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ წარსულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და იმ გარემოს, სადაც ხდება აქტივის გამოყენება. რომელიმე ან პირობაში ან შეფასებაში მომხდარმა ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს სამომავლო ცვეთის კოეფიციენტების დაკორექტირება.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების გაუფასურება

კომპანიამ გამარტივებული მიდგომა გამოიყენა სავაჭრო დებიტორული დავალიანებისთვის, რადგან ისინი არ მოიცავენ მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და საწარმო იყენებს პრაქტიკულ გამოცდილებას იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებსაც ერთწლიანი ან ნაკლები ვადა აქვთ. დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი ეფუძნება კომპანიის მიერ კონკრეტული მომხმარებლისგან თანხების ამოღების შესაძლებლობის შეფასებას. კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები ვადაგადაცილებულია 90 დღით. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია, სავარაუდოდ, სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კოლექტიური შეფასების მიზნით, დებიტორული დავალიანებები დაჯგუფებულია თითოეული კონტრაქტის შემოსავლის კლასების, ვადაგადაცილებული დღეების და აქტიური/პასიური სტატუსის მიხედვით. ეს მახასიათებლები მნიშვნელოვანია ასეთი აქტივების ჯგუფების სამომავლო ფულადი ნაკადების დასაანგარიშებლად, რადგან ისინი მიანიშნებენ დებიტორის უნარზე, გადაიხადოს დავალიანება სრულად შეფასებული აქტივების სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად.

თითოეულ ანგარიშგების თარიღში ახლდება წარსულში დაფიქსირებული გადაუხდელობის განაკვეთები და ანალიზდება ცვლილებები მომავალზე ორიენტირებულ შეფასებებში. წარსულში დაფიქსირებული გადაუხდელობის განაკვეთების, საპროგნოზო ეკონომიკური პირობების და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანაფარდობის შეფასება მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხა მგრძნობიარეა ვითარებების და, იშვიათ შემთხვევაში, საპროგნოზო ეკონომიკური პირობების ცვლილებების მიმართ. კომპანიის საკრედიტო ზარალის განვლილი გამოცდილება და საპროგნოზო ეკონომიკური პირობები შესაძლოა ასევე არ იყოს მომავალში კლიენტის ფაქტიური დეფოლტირების განმსაზღვრელი.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

6. ძირითადი საშუალებები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში ძირითად საშუალებებში შემდეგი ცვლილებები დაფიქსირდა:

	მიწის ნაკვეთები	ინფრასტრუ- ქტურული აქტივები	სატრანს- პორტო საშუალებები	საწარმოო და საოფისე აღჭურვი- ლობა	დაუმთავრე- ბელი მშენებლობა	სულ
გადაფასებული ღირებულება						
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	6	1,705	46	30	135	1,922
შესყიდვები	1	1	1	9	606	618
გადატანები	–	232	5	9	(246)	–
31 დეკემბერი, 2018 წ.	7	1,938	52	48	495	2,540
დაგროვილი ცვეთა						
31 დეკემბერი, 2017 წ.	–	219	18	28	–	265
ცვეთის დანარიცხი	–	126	10	1	–	137
31 დეკემბერი, 2018 წ.	–	345	28	29	–	402
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი, 2017 წ.	6	1,486	28	2	135	1,657
31 დეკემბერი, 2018 წ.	7	1,593	24	19	495	2,138

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში ძირითად საშუალებებში შემდეგი ცვლილებები დაფიქსირდა:

	მიწის ნაკვეთები	ინფრასტრუ- ქტურული აქტივები	სატრანს- პორტო საშუალებები	საწარმოო და საოფისე აღჭურვი- ლობა	დაუმთავრე- ბელი მშენებლობა	სულ
გადაფასებული ღირებულება						
2016 წლის 31 დეკემბრისთვის	–	1,121	32	28	69	1,250
შესყიდვები	1	157	–	–	514	672
გადატანები	5	427	14	2	(448)	–
31 დეკემბერი, 2017 წ.	6	1,705	46	30	135	1,922
2016 წლის 31 დეკემბრისთვის						
დარიცხული ცვეთა	–	114	17	25	–	156
ცვეთის დანარიცხი	–	105	1	3	–	109
31 დეკემბერი, 2017 წ.	–	219	18	28	–	265
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი, 2016 წ.	–	1,007	15	3	69	1,094
31 დეკემბერი, 2017 წ.	6	1,486	28	2	135	1,657

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

6. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები თვითღირებულების მოდელის გამოყენებით რომ ფასდებოდეს, მათი საბალანსო ღირებულება 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრისთვის იქნებოდა შემდეგი:

	მიწის ნაკვეთები	ინფრასტრუ- ქტურული აქტივები	სატრანს- პორტო საშუალებები	საწარმოო და საოფისე აღჭურვი- ლობა	დაუმთავრე- ბელი მშენებლობა	სულ
პირვანდელი ღირებულება						
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	7	1,898	29	41	495	2,470
დარიცხული ცვეთა და გაუფასურება	—	(337)	(6)	(24)	—	(367)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	<u>7</u>	<u>1,561</u>	<u>23</u>	<u>17</u>	<u>495</u>	<u>2,103</u>

	მიწის ნაკვეთები	ინფრასტრუ- ქტურული აქტივები	სატრანს- პორტო საშუალებები	საწარმოო და საოფისე აღჭურვი- ლობა	დაუმთავრე- ბელი მშენებლობა	სულ
პირვანდელი ღირებულება						
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	6	1,669	18	23	135	1,851
დარიცხული ცვეთა და გაუფასურება	—	(211)	(2)	(21)	—	(234)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	<u>6</u>	<u>1,458</u>	<u>16</u>	<u>2</u>	<u>135</u>	<u>1,617</u>

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

6. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

კომპანიის ყველა უძრავი ქონება 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრისთვის შეტანილია სამართლიანი ღირებულების შეფასების მე-3 დონეში, რომლის მეთოდებიც შეფასებაში არაემპირიულ მონაცემებს იყენებს.

ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებული შეფასების მეთოდი და ამოსავალი მონაცემები სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს უკავშირდება. ამოსავალ მონაცემებში შესაძლო ცვლილებებთან დაკავშირებული მგრძნობელობა 2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (შესაბამისი თანმიმდევრობით) შემდეგია:

ძირითადი საშუალებების კლასი	სამართლიანი ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		მნიშვნელოვანი გამოყენებული არაემპირიული შეშოსული ამოსავალი რესურსის ღირებულება		ტიპი	მთლიანი ფართობი, კვადრატული მეტრებით
	შეფასების მეთოდი	შეფასების მეთოდი	ამოსავალი მონაცემები	რესურსის ღირებულება		
მიწის ნაკვეთები	7	დისკონტირებული ფულადი ნაკადები	კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება; საპროგნოზო პერიოდის შემდგომი ზრდის ტემპი	14.03%; 3.52%	მიწა	34
ინფრასტრუქტურული აქტივები	1,593	დისკონტირებული ფულადი ნაკადები	კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება; საპროგნოზო პერიოდის შემდგომი ზრდის ტემპი	14.03%; 3.52%	მიწები და ჭები, მოწყობილობა	არა
სატრანსპორტო საშუალებები	24	დისკონტირებული ფულადი ნაკადები	კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება; საპროგნოზო პერიოდის შემდგომი ზრდის ტემპი	14.03%; 3.52%	სატრანსპორტო საშუალებები	არა
საწარმოო და საოფისე აღჭურვილობა	19	დისკონტირებული ფულადი ნაკადები	კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება; საპროგნოზო პერიოდის შემდგომი ზრდის ტემპი	14.03%; 3.52%	საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	არა
სულ ძირითადი საშუალებები, დაუმთავრებელი მშენებლობისა და სხვ. გამოკლებით	1,643					

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

6. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების კლასი	სამართლიანი ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	შეფასების მეთოდი	მნიშვნელოვანი გამოყენებული არამპირიული ამოსავალი მონაცემები	შემოსული რესურსის ღირებულება	ტიპი	მთლიანი ფართობი, კვადრატული მეტრებით
მიწის ნაკვეთები	6	დისკონტი- რებული ფულადი ნაკადები	კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება; საპროგნოზო პერიოდის შემდგომი ზრდის ტემპი	14.38%; 3.5%	მიწა	34
ინფრასტრუქტურული აქტივები	1,486	დისკონტი- რებული ფულადი ნაკადები	კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება; საპროგნოზო პერიოდის შემდგომი ზრდის ტემპი	14.38%; 3.5%	მიწები და ქეები, მოწყობილობა	არა
სატრანსპორტო საშუალებები	28	დისკონტი- რებული ფულადი ნაკადები	კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება; საპროგნოზო პერიოდის შემდგომი ზრდის ტემპი	14.38%; 3.5%	სატრანსპორტო საშუალებები	არა
საწარმოო და საოფისე აღჭურვილობა	2	დისკონტი- რებული ფულადი ნაკადები	კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება; საპროგნოზო პერიოდის შემდგომი ზრდის ტემპი	14.38%; 3.5%	საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	არა
სულ ძირითადი საშუალებები, დაუმთავრებელი მშენებლობისა და სხვ. გამოკლებით	<u>1,522</u>					

გრძელვადიანი ზრდის ტემპის ზრდა ან კლება გამოიწვევს ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულების ზრდას ან შემცირებას (შესაბამისად). კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების ზრდა ან კლება გამოიწვევს ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულების შემცირებას ან ზრდას (შესაბამისად).

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

7. საინვესტიციო ქონება

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო ქონება მოიცავდა შენობას 1,191 და 1,115 ლარის ოდენობით (შესაბამისად). 2018 და 2017 წლებში შენობებზე დამატებები არ განხორციელებულა. 2018 წლის განმავლობაში, საინვესტიციო ქონების გადაფასების შემოსულობამ შეადგინა 76 ლარი (2017 წ.: 66 ლარი).

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

საინვესტიციო ქონება სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება. დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ ჩატარებული ბოლო შეფასების თარიღია 2018 წლის 31 დეკემბერი. გამოყენებული შეფასების მოდელები შეესაბამება შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ რეკომენდებულ შეფასების მოდელებს, ფასს (IFRS) 13 (რეალური ღირებულების შეფასება) და ისინი თანმიმდევრულად გამოიყენება.

საინვესტიციო ქონების შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდი წარმოადგენს საბაზრო მეთოდს.

საბაზრო მეთოდი

ეს მეთოდი გულისხმობს შეფასების ობიექტის პირდაპირ შედარებას სხვა ობიექტთან, რომელიც გაიყიდა ან აღრიცხულია გაყიდვის რეესტრში. ღირებულების კორექტირება, ძირითადად, შემდეგის გათვალისწინებით ხდება: 1) ფიზიკური მდგომარეობა; 2) ადგილმდებარეობა; 3) საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენება; 4) ყადაღა ქონებაზე.

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შეფასებაში გამოყენებული შეფასების მეთოდი და ამოსავალი მონაცემები სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეს უკავშირდება. ამოსავალ მონაცემებში შესაძლო ცვლილებებთან დაკავშირებული მგრძნობელობა 2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (შესაბამისი თანმიმდევრობით) შემდეგია:

საინვესტიციო ქონების კლასი	სამართლიანი ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		ამოსავალი მონაცემების მნიშვნელოვანი დირექტორები / დიაპაზონი (საშუალო შეწონილი)		ტიპი	მთლიანი ფართობი, კვადრატული მეტრებით
	შეფასების მეთოდი	შეფასების მეთოდი	კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება, კვ.მ.-ის ფასი	12.2%, 1.44		
შენობა	1,191	საბაზრო მეთოდი	კვ.მ.-ის ფასი	12.2%, 1.44	შენობა	829
საინვესტიციო ქონება, სულ	1,191					

საინვესტიციო ქონების კლასი	სამართლიანი ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრისთვის		ამოსავალი მონაცემების მნიშვნელოვანი დირექტორები / დიაპაზონი (საშუალო შეწონილი)		ტიპი	მთლიანი ფართობი, კვადრატული მეტრებით
	შეფასების მეთოდი	შეფასების მეთოდი	კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება, კვ.მ.-ის ფასი	18%, 1.34		
შენობა	1,115	საბაზრო მეთოდი	კვ.მ.-ის ფასი	18%, 1.34	შენობა	829
საინვესტიციო ქონება, სულ	1,115					

1 კვ.მ.-ის ფასის ზრდა ან შემცირება გამოიწვევს საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების გაზრდას ან შემცირებას.

კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულების ზრდა ან შემცირება გამოიწვევს საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების გაზრდას ან შემცირებას.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

8. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.
მიმდინარე		
ფართო მოსახლეობის დებიტორული დავალიანება წყალმომარაგების მომსახურებისთვის	282	634
იურიდიული პირების დებიტორული დავალიანება წყალმომარაგების მომსახურებისთვის	198	272
დებიტორული დავალიანება წყლის მრიცხველების დამონტაჟებისთვის	35	112
სავაჭრო დებიტორული დავალიანება ქსელთან მიერთების მომსახურებისთვის	7	3
	522	1,021
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(416)	(831)
სულ მიმდინარე სავაჭრო დებიტორული დავალიანება, წმინდა	106	190
სხვა დებიტორული დავალიანება	2	5
სულ მიმდინარე სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება, წმინდა	108	195

კომპანიის სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებებს და ლარშია გამოხატული.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აღიარებული აქვს 2 ლარის სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება, რომელიც უკავშირდება შემოსავალს, რომელიც, თავის მხრივ, არ ექცევა ფასს (IFRS) 15-ის (ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან) მოქმედების არეალში (2017 წ.: 5 ლარი).

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების საკრედიტო ხარისხის მიხედვით ანალიზი ასეთია:

	არც ვადაგადაცილებუ- ლი და არც გაუფასურებული 31 დეკემბერი, 2017 წ.	ვადაგადაცილებუ- ლი, მაგრამ არა ინდივიდუალურად გაუფასურებული 31 დეკემბერი, 2017 წ.	სულ 31 დეკემბერი, 2017 წ.
მიმდინარე სავაჭრო დებიტორული დავალიანება	135	886	1,021
სხვა დებიტორული დავალიანება	5	–	5
სულ	140	886	1,026

გაუფასურების ანალიზი მსხვილი კლიენტებისთვის ინდივიდუალურად ხდება ანგარიშგების ყოველი თარიღისთვის. გარდა ამისა, დიდი რაოდენობით მცირე მოცულობის მოთხოვნები გაერთიანებულია ერთგვაროვან ჯგუფებად და მათი გაუფასურებაც კოლექტიურად ფასდება. გაანგარიშება ეყრდნობა რეალურ წარსულ მონაცემებს. კომპანია ფლობს უზრუნველყოფის საგნებს.

- ▶ ვადაგადაცილებული და გაუფასურებული კატეგორიები არ წარმოადგენენ იმ შემოსავლიდან წარმოშობილ მოთხოვნებს, რომელიც არც აღრიცხულია და არც მომხმარებლებისთვის მიწოდებული 2017 წელს, მაგრამ აღიარებულია წლის რამდენიმე გავლილი დღის დარიცხვის სახით.
- ▶ ვადაგადაცილებულ, მაგრამ არა ინდივიდუალურად გაუფასურებულ კატეგორიაში შედის ის დებიტორული დავალიანება, რომელიც ვადაგადაცილებულია და რომლის გაუფასურებაც ინდივიდუალურად არ შეფასებულა, თუმცა კოლექტიურად გაუფასურებულად არის მიჩნეული.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

8. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (გაგრძელება)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების ანალიზი კლასების მიხედვით არის შემდეგი:

31 დეკემბერი, 2018 წ.	30 დღეზე ნაკლები	30 დღიდან 90 დღემდე	91 დღიდან 180 დღემდე	181 დღიდან 360 დღემდე	360 დღეზე მეტი	სულ
მიმდინარე სავაჭრო დებიტორული დავალიანება	125	52	89	73	183	522
სხვა დებიტორული დავალიანება	2	–	–	–	–	2
სულ	127	52	89	73	183	524

ვადაგადაცილებული, მაგრამ არა ინდივიდუალურად გაუფასურებული მოთხოვნების ხანდაზმულობის ანალიზი კლასების მიხედვით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთია:

31 დეკემბერი, 2017 წ.	30 დღეზე ნაკლები	30 დღიდან 90 დღემდე	91 დღიდან 180 დღემდე	181 დღიდან 360 დღემდე	360 დღეზე მეტი	სულ
მიმდინარე სავაჭრო დებიტორული დავალიანება	13	54	24	56	739	886
სულ	13	54	24	56	739	886

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვში ცვლილება შემდეგია:

	მიმდინარე სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება
31 დეკემბერი, 2016 წ.	825
დანარიცხი	79
ჩამოწერილი უიმედო ვალები	(73)
31 დეკემბერი, 2017 წ.	831
ფასს (IFRS) 9-ზე გადასვლის ეფექტი	76
დანარიცხი	190
ჩამოწერილი უიმედო ვალები ¹	(681)
31 დეკემბერი, 2018 წ.	416

¹ კომპანიამ ჩამოწერა სამ წელზე მეტი ხნის წინ წარმოშობილი ხანდაზმული მოთხოვნები. 2018 წელს მნიშვნელოვნად დიდი რაოდენობით უიმედო ვალის ჩამოწერის მიზეზი იყო სემკი-ს მიერ სასმელი წყლის მიწოდებასთან და მოხმარებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების ცვლილება, რომლის თანახმადაც მომხმარებლები გათავისუფლდნენ სამ წელზე მეტი ხნის წინ წარმოშობილი თანხების გადახდის ვალდებულებისგან. ჩამოწერილი მოთხოვნები სრულად იყო დაფარული.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

9. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას მთლიანად ჰქონდა გადახდილი 238 ლარის ოდენობის საწესდებო კაპიტალი.

გადაფასების რეზერვი

გადაფასების რეზერვი ასახავს ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულების ზრდასა და შემცირებას იმდენად, რამდენადაც ღირებულების შემცირება უკავშირდება კაპიტალში ადრე აღიარებულ იმავე აქტივზე ზრდას.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანიის მიზნებია:

- ▶ ომპანიის უნარის დაცვა, გააგრძელოს თავისი საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ;
- ▶ შეინარჩუნოს საკმარისი ზომა, რომ კომპანიის საქმიანობა ხარჯთეფექტიანი იყოს.

კომპანიას არ ეხება კაპიტალთან დაკავშირებული გარე მოთხოვნები.

კაპიტალის მართვის მიზნებისთვის, კომპანია კაპიტალს განსაზღვრავს, როგორც ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ საკუთარ კაპიტალს.

2018 და 2017 წლებში კაპიტალის მართვის მიზნებში, პოლიტიკასა თუ პროცესებში ცვლილებები არ შესულა.

10. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.
გრძელვადიან აქტივებში გადასახდელი თანხები	416	580
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	128	205
სხვა დავალიანება	10	7
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	554	792

11. სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები

2018 წელს კომპანიამ 1,101 ლარი აღიარა მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებულ ამონაგებში (2017 წ.: 735 ლარი). კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის დაყოფა ტიპების მიხედვით წარმოდგენილია 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და განსაზღვრულია მე-12 შენიშვნაში.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

11. სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)**სახელშეკრულებო ნაშთები**

კომპანიამ აღიარა შემოსავალთან დაკავშირებული შემდეგი სახელშეკრულებო ნაშთები:

	<i>31 დეკემბერი, 2018 წ.</i>	<i>31 დეკემბერი, 2017 წ.</i>
დებიტორული დავალიანება		
მოთხოვნები, რომლებიც არ არის შესული სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებაში	106	190
სულ	106	190
სახელშეკრულებო ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	39	29
გადავადებული შემოსავალი	111	98
სულ	150	127

კომპანიამ აღიარა 14 ლარის შემოსავალი მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში, რომელიც უკავშირდება მომდევნო პერიოდზე გადატანილ სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ასახულია გადავადებულ შემოსავალში.

დარჩენილ სახელშეკრულებო ვალდებულებებზე განაწილებული გარიგების ფასი

ქვემოთ, ცხრილში, წარმოდგენილია შემოსავალი, რომლის აღიარებაც მოსალოდნელია მომავალში იმ სახელშეკრულებო ვალდებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც საანგარიშგებო თარიღისთვის არ არის დაკმაყოფილებული და, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადავადებულია:

	<i>2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს</i>	<i>2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს</i>	<i>2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს</i>	<i>3-დან 5 წლის შემდეგ</i>	<i>5 წელზე მეტი</i>	<i>სულ</i>
შემოსავალი, რომლის აღიარებაც მოსალოდნელია კლიენტებთან გაფორმებულ აქტიურ ხელშეკრულებებზე	17	17	17	34	26	111

ქვემოთ ცხრილში, წარმოდგენილია შემოსავალი, რომლის აღიარებაც მოსალოდნელია მომავალში იმ სახელშეკრულებო ვალდებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც საანგარიშგებო თარიღისთვის არ არის დაკმაყოფილებული და, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადავადებულია:

	<i>2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს</i>	<i>2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს</i>	<i>2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს</i>	<i>3-დან 5 წლის შემდეგ</i>	<i>5-დან 10 წლის შემდეგ</i>	<i>სულ</i>
შემოსავალი, რომლის აღიარებაც მოსალოდნელია კლიენტებთან გაფორმებულ აქტიურ ხელშეკრულებებზე	14	14	14	42	14	98

კომპანია იყენებს ფასს (IFRS) 15-ით გათვალისწინებულ პრაქტიკული მიზანშეწონილობის პრინციპს და არ წარმოადგენს ინფორმაციას დარჩენილი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესახებ, რომელთა თავდაპირველი მოსალოდნელი ვადაც მაქსიმუმ ერთი წელია.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

12. შემოსავალი წყალმომარაგებიდან

	2018	2017
იურიდიული პირების წყალმომარაგებიდან მიღებული შემოსავალი	881	567
ფართო მოსახლეობის წყალმომარაგებიდან მიღებული შემოსავალი	220	168
სულ შემოსავალი წყალმომარაგებიდან	1,101	735

13. პირობითი ვალდებულებები**პირობების დაკმაყოფილება**

კომპანია ვალდებულია დააკმაყოფილოს თავისი ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული გარკვეული პირობები. ამ პირობების დაუკმაყოფილებლობას შეიძლება უარყოფითი შედეგები მოყვეს კომპანიისთვის, მათ შორის, სასესხო ხელშეკრულების შეწყვეტა და სესხის თანხის ან მისი ნაწილის დაკავება. 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია აკმაყოფილებდა აღნიშნულ პირობებს.

გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველოში კანონმდებლობა გარემოს დაცვის დარგში ვითარდება, ხოლო სამართალგამოყენების ფორმები სამთავრობო ორგანოების მუდმივი გადასინჯვის საგანს წარმოადგენს. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც კი წარმოიქმნება ვალდებულება, ხდება მისი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების (რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში) ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი მნიშვნელობის იყოს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამართალგამოყენების არსებული კლიმატის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიას გარემოსთვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ვალდებულებები არ აქვს.

14. ფინანსური ინსტრუმენტები**ფინანსური ინსტრუმენტების მიმოხილვა***ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში*

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში მოიცავს საქართველოს ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ თანხებს. ნაღდი ფულის ყველა ნაშთი ბანკში მიმდინარეა და არ არის გაუფასურებული.

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრისთვის, გარდა სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებებისა, კომპანიას არ ჰქონდა რამე სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები, რომლებიც არის ვადაგადაცილებული, მაგრამ არაგაუფასურებული (მე-8 შენიშვნა).

ნასესხები სახსრები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ფინანსური ინსტიტუტისგან ნასესხები სახსრები მოიცავს ლარში გამოხატულ სესხს 913 ლარის (2017 წ.: 500 ლარი) ოდენობით, 6-წლიანი დაფარვის ვადით (2017 წ.: 7 წელი).

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხები ასევე მოიცავდა ლარში გამოხატულ სესხებს საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისგან „GGU“-ს მიერ 17,686 ლარი (2017 წ.: 14,848 ლარი) ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით 16,94%, 18% და 18,95% (2017 წ.: 18% და 18,95%). მმართველი კომპანიისგან ნასესხები სახსრები მოიცავს ფულად და არაფულად სესხებს 1,648 და 14,693 ლარის ოდენობით, შესაბამისად (2017 წ.: 2,545 და 12,303 ლარი, შესაბამისად). იხილეთ მე-15 შენიშვნა. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისგან ნასესხები სახსრები მოიცავდა სესხს დაფარვის 182-დღიანი ვადით და სესხებს განსაზღვრული დაფარვის თარიღის გარეშე (2017 წ.: 547 დღე და სესხი განსაზღვრული დაფარვის თარიღის გარეშე).

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

14. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)**ფინანსური ინსტრუმენტების მიმოხილვა (გაგრძელება)**

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ აქვს ხელმისაწვდომი აუთვისებელი ნასესხები სახსრები (2017 წ.: 500 ლარი).

ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში:

	<i><u>ნასესხები სახსრები</u></i>
საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	12,403
ფულადი შემოსავალი	500
გადახდილი ფულადი სახსრები	(11)
დარიცხული პროცენტი	2,231
გადახდილი პროცენტი	(23)
სხვა	248
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	15,348
ფულადი შემოსავალი	1,845
გადახდილი ფულადი სახსრები	(686)
დარიცხული პროცენტი	2,744
გადახდილი პროცენტი	(818)
სხვა	166
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	18,599

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი, რომელთა სამართლიანი ღირებულება კომპანიას გაცხადებული აქვს 2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფასდება სამართლიანი ღირებულებით, რომლის დროსაც გამოიყენება ღირებულების შეფასების მეთოდი ბაზრის ემპირიული და არაემპირიული ამოსავალი მონაცემებით. 2018 და 2017 წლებში მე-3 დონის სამართლიანი ღირებულების შეფასების მეთოდში ცვლილებები არ მომხდარა.

სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 და მე-3 დონეში სამართლიანი ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდის გამოყენებით. ცვალებადი კურსის ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე, შეფასდა მათი საბალანსო ღირებულების ტოლი ოდენობით. არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება შეფასდა მომავალში მოსალოდნელი საპროცენტო ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომლებიც დისკონტირებულია მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი დაფარვის ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის დადგენილი საპროცენტო განაკვეთებით. ფიქსირებული განაკვეთის მქონე ნასესხები სახსრების (სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 დონე) სამართლიანი ღირებულებები ამ ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებებს უახლოვდება.

ხელმძღვანელობის შეფასებით, ბანკში ნაღდი ფულის, სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების და სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების სამართლიანი ღირებულებები უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებებს, ამ ინსტრუმენტების დაფარვის მოკლე ვადის გამო.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

14. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)**ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი რისკი**

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, კომპანიას აქვს საპროცენტო განაკვეთის, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები. კომპანიის ხელმძღვანელობა ზედამხედველობს ამ რისკების მართვას. კომპანიას არ აქვს სავალუტო რისკი, რადგან მას არ მოეპოვება უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტები.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, თუ საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები გავლენას მოახდენს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაზე ან ფინანსური ინსტრუმენტების მომავალ ფულადი სახსრების ნაკადზე. კომპანიას აქვს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ნასესხები სახსრები, რომლებიც მიმზღვია სეზონის რეფინანსირების განაკვეთებზე, ამიტომ მას აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკი. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია მგრძნობელობა შესაძლო გონივრული ცვლილების მიმართ:

ვალუტა	ზრდა/ კლება, % 2018	გავლენა მოგებაზე 2018
ლარი	0.75%	(7)
ლარი	-0.75%	7

ვალუტა	ზრდა/ კლება, % 2017	გავლენა მოგებაზე 2017
ლარი	-0.75%	(4)
ლარი	0.75%	4

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიამ განიცადოს ზარალი, თუ მისი კლიენტები ან მომწოდებლები ვერ შეძლებენ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას. კომპანია საკრედიტო რისკს მართავს და აკონტროლებს რისკის მოცულობაზე მისთვის მისაღები ლიმიტის დაწესებით კონტრაქტებთან ან კონტრაქტების ჯგუფებთან მიმართებით. ასეთი რისკების მონიტორინგი უწყვეტად, ხოლო მათი გადახედვა ყოველწლიურად ან უფრო ხშირად ხდება.

2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ ფლობს საკრედიტო რისკის მქონე სხვა მნიშვნელოვან ფინანსურ აქტივებს, გარდა შემდეგისა:

- ▶ ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში: 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკში არსებული მთლიანი ფულადი სახსრებიდან 809 ლარის (2017 წ.: 516 ლარი) ოდენობით, 773 ლარი (2017 წ.: 11 ლარი) განთავსებული იყო Standard & Poor'-ის „BB-/bb-“ რეიტინგის, Moody's-ს „B1/NP“ (FC) & „Ba3/NP“ (LC) და Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული „BB-/bb-“ რეიტინგების მქონე ბანკებში;
- ▶ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება (მე-8 შენიშვნა).

ყველა იმ ფინანსური აქტივის საკრედიტო ხარისხი, რომლებიც არც ვადაგადაცდილებულია და არც გაუფასურებული, სათანადოა და ხდება მათი მუდმივი მონიტორინგი საკრედიტო ხარისხში შესაძლო უარყოფითი ცვლილებების დროულად გამოსავლენად. არ არსებობს ისეთი მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები, რომელთა პირობები რესტრუქტურირებულია და რომლებიც სხვა შემთხვევაში, აღნიშნული რესტრუქტურირების გარეშე, ვადაგადაცდილებული ან გაუფასურებული იქნებოდა. 2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულება ყველაზე კარგად ასახავს მათთვის დამახასიათებელ მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

14. ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)**ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი რისკი (გაგრძელება)****ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება გადახდის ვალდებულებების შესრულება, როდესაც გადახდის დრო დადგება ჩვეულებრივ ან სტრესულ ვითარებებში. ხელმძღვანელობა ყოველთვიურად აკონტროლებს კომპანიის ფულადი სახსრების მოძრაობის მცოცავ პროგნოზებს. კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს სტაბილური ფინანსირების ბაზა, რომელიც ძირითადად მოიცავს ნასესხებ სახსრებს და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია 2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ფინანსური ვალდებულებები ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების საფუძველზე.

	<i>1 წელზე ნაკლები</i>	<i>1-3 წელი</i>	<i>3-5 წელი</i>	<i>5 წელზე მეტ</i>	<i>სულ</i>
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					
გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები	212	423	423	17,895	18,953
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	554	–	–	–	554
სულ მომავალი გადახდები	766	423	423	17,895	19,507
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					
გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები	104	209	209	15,057	15,579
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	792	–	–	–	792
სულ მომავალი გადახდები	896	209	209	15,057	16,371

15. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

ბასს (IAS) 24-ის (დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები) მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები. ამასთან დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომლებიც ქვემოთ არის განხილული, განხორციელდა გაშლილი ხელის პრინციპით.

მმართველ კომპანიას, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“, აქვს უფლებამოსილება და ვალდებულება, რომ დაგეგმოს, წარმართოს და გააკონტროლოს კომპანიის საქმიანობა მართვის შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. კომპანიას არ ჰყავს სხვა წამყვანი ხელმძღვანელობა.

სხვა დაკავშირებული მხარეები წარმოდგენილია შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „ჯორჯია კაპიტალის“ წევრებით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ბიჯეოს წევრებით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გარდა - „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერისა“. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ბანკის ჯგუფის საწარმოები არ მოიაზრებიან დაკავშირებულ მხარეებად.

(რიცხვები ათას ლარშია მოცემული)

15. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

დაკავშირებულ მხარეთა შორის დადებული გარიგებების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში ასეთი იყო:

	31 დეკემბერი, 2018 წ.		31 დეკემბერი, 2017 წ.	
	მმართველი კომპანია	სხვა დაკავშირებული მხარეები	მმართველი კომპანია	სხვა დაკავშირებული მხარეები
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	–	–	–	11
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	17	1	–	–
ნასესხები სახსრები 1 იანვრის მდგომარეობით	14,848	–	12,403	–
ამონაგები სესხებიდან	–	1,345	605	–
ნასესხები სახსრების დაფარვა წლის განმავლობაში	(598)	–	(11)	–
გადასახდელი პროცენტის რესტრუქტურზაცია	2,091	–	1,851	–
ნასესხები სახსრები 31 დეკემბრის მდგომარეობით	16,341	1,345	14,848	–
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	–	411	163	376
	2018		2017	
	მმართველი კომპანია	სხვა დაკავშირებული მხარეები¹	მმართველი კომპანია	სხვა დაკავშირებული მხარეები
შემოსავალი და ხარჯები				
ფინანსურ საქმიანობაზე				
გაწეული დანახარჯები	(1,349)	(11)	(2,233)	–
ნედლეული, საწვავი და სხვა სახარჯი მასალები	(178)	–	(208)	–
პროფესიული გასამრჯელო ²	(58)	–	(58)	–
სხვა საოპერაციო ხარჯები	(11)	(24)	(25)	(21)

¹ 2018 წელს სხვა დაკავშირებულ მხარეებში შედიან შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „ჯორჯია კაპიტალის“ ჯგუფის კომპანიების მიერ (2018 წლის განმავლობაში) და საქართველოს ბანკის ჯგუფის საწარმოების (გამოყოფის შემდეგ) გენერირებული შემოსავალი და ხარჯი (1-ელი შენიშვნა).

² მმართველობითი მომსახურების ანაზღაურება 2018 წლისა და 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის შეტანილია პროფესიული მომსახურების ანაზღაურებაში.

16. ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

მშობელმა კომპანიამ თბილისის მთავრობასა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან შეთანხმდა ნასყიდობის ხელშეკრულების (1-ლი შენიშვნა) დასრულების საკითხი და კონტრაქტის შეწყვეტის ფორმალური ხელშეკრულება გააფორმა 2019 წლის 15 აპრილს. საქართველოს მთავრობამ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ და ქ. თბილისის მთავრობამ (შემდგომში „ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეები“) დაადასტურეს მშობელი კომპანიის მიერ ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ყველა ვალდებულების შესრულების ფაქტი და ფლობის უპირობო/შეუზღუდავი უფლება პრივატიზებულ შვილობილ კომპანიებში (მათ შორის კომპანიაშიც). ამასთან, ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეებმა იკისრეს იმის უზრუნველყოფა, რომ აქტივები, რომლებიც ფლობილია, მაგრამ არ წარმოადგენენ კომპანიის საკუთრებას (მე-5 შენიშვნა) კომპანიის მფლობელობაში გადავიდა.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს „იუაის“ მიერ 2019 წლის 30 აპრილს გამოშვებული ინგლისურენოვანი აუდიტის დასკვნის თარგმანს.

წინამდებარე თარგმანსა და აუდიტის დასკვნის ინგლისურენოვან ორიგინალს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურენოვან ტექსტს.